პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 110 (20451) — შაბათი, 13 მაისი, 1989 წელი. — ფასი 8 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1989 წლის 22 აპრილს გაიმართა საკავშირო კომუნისტური შაბათობა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 119 წლისთავს. ეს შაბათობა საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის მკაფიო დადასტურება გახდა.

შაბათობაში მონაწილეობდა 152 მილიონზე მეტი კაცი, რომლებიც შრომობდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაზე. შაბათობის მომზადებისა და მოწყობის დროს გამოვლინდა დიდი ორგანიზებულობა და გერგილიანობა. თავიანთი დიდმწარმოებლური შრომით შაბათობის მონაწილეებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს მეთორმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა შესრულებაში.

წინასწარი მონაცემებით, აღდგენილ, ... 1,2 მილიარდი მანეთი მარტო სამრეწველო პროდუქცია გამოიმუშავეს. გამოუშვეს 458 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, მათ შორის 116 მილიონი მანეთის — სასურსათო, 337 მილიონი მანეთის — არასასურსათო საქონელი. შესრულდა 286 მილიონი მანეთის საგაჯარო სამუშაოები.

შაბათობის მონაწილეებმა გამოიმუშავეს 291 მილიონი მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ყველას, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში — მუშებს, ... ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ... ფერმერებს, — გულთან ... ადამიანებს, ...

განმახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები

2.

ლეგენდარული ჯოგის ახალი სიცოცხლე

ცნობილმა მეჯოგემ ძუკუ კვარაცხელიამ თავის დროზე დიდი დაკვირვებითა და ცოდნით გამოიყვანა მეგრული წითელი ჯიშის საქონელი, რომელიც კარგად იყო ადგილობრივ პირობებს შეგუებული და რომელზეც ახლაც ლეგენდები დადის. თითოეულის წონა 400 კილოგრამს აღემატებოდა და დღეში 10-12 კილოგრამ რძეს იწველიდა. მისი რძე ცხიმიანობით კამეჩისას დიდად არ ჩამოუვარდებოდა.

და აი, გეგეჭკორელებმა განიზრახეს ამ უნიკალური ჯიშის საქონლის შეძენა და მოშენება. ინჩხურის კოლმეურნეობის ფერმა უკვე მთლიანად დაკომპლექტდა ამ ჯიშის პირუტყვით. მალე ასევე იქნება გაშენდილის „წინსწოლის“ კოლმეურნეობის ფერმაშიც. ამ კოლმეურნეობათა მიწები მთის კალთებზეა შეფენილი და მომთაბარე მეჯოგეობისათვის ბუნებრივი საძოვრებიც საკმაოდ აქვთ.

ასე ნელ-ნელა, დიდი რუდუნებით ცდილობენ გეგეჭკორელი მეცხოველეები ლამაზრქიანი, ღობიერი ჯიშის საქონლის ფამრილიას მთიანი რეგიონის სოფლებში.

ოთხათასიანი კლუბი

ლენინდრაკა კოლმეურნეობა „საქართველოში“ ჩაის კულტურა შემოსავლის ძირითადი წყაროა. შემოსავლიანია სხვა დარგებიც, მეცხოველეობა კი მეიავიწყეს და, როგორც იტყვიან, სულს ღაფავდა. არადა, აქ ჰქონდათ დარგის წინსწოლისათვის საჭირო ყველა პირობა. მხოლოდ მონდომება, რეზერვების ამოქმედება და ინიციატივა იყო საჭირო.

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „კომუნისტი“ № 109.

ერთი წლის წინათ კოლმეურნეობაში შეიქმნა საიჯარო ბაღოფილება „ფერმა — მინდორი“. აქ მეცხოველეობა, საკვებწარმოება და საქონრო ტექნიკა გაერთიანდა. განყოფილების ხელმძღვანელად კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ვახტანგ დანელია აირჩიეს, მოადგილედ — ვეტერანი მექანიზატორი ილიკო დანელია. შეიკრა ერთიანი კოლექტივი, რომლის ყველა წევრი შემოსავალს თანაბრად ინაწილებს.

„ფერმა — მინდორის“ განყოფილებას მოსავლელად ჰყავს 300 სული საქონელი, 10 ღორი, აქვს 200 ჰექტარი სახნავი მიწა, უზრუნველყოფილია ტექნიკით. მისი შექმნა განაპირობა კოლმეურნეობაში დარგის უკიდურესმა ჩამორჩენამ, მცირე პროდუქტიულობამ, დიდმა თვითღირებულებამ, ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე საკვები ერთეულის ხარჯვის კოლოსალურმა ზრდამ. ამის გამო კოლმეურნეობას მეცხოველეობაში ყოველწლიურად 200 ათასი მანეთი ზარალი ჰქონდა.

განყოფილების წევრებმა — ბადრი, ომარ, ავთანდილ, ლამარა, დემურ, სერგო, ბორის, ტოჩი და იური დანელიებმა, მანანა ხურცილავამ, არჩილ ცურცაძემ, ლეილა და გიორგი ბართაიებმა, ომარ კილასონიამ და აკაკი ხაინდრავამ თავიდანვე მიზნად დაისახეს შეექმნათ ოთხთასიანთა კლუბი, ანუ თითოეული ფურის წველადობა წელიწადში 4.000 კილოგრამამდე გაეზარდათ. შარშან მათ 206 ტონა რძე და 51 ტონა ხორცი აწარმოვეს, საგებგმიზე ორჯერ მეტი საკვები დაამზადეს, და არა მარტო თავად იმყოფინეს, ნაწილობრივ სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებსაც უწილადეს. რაც მთავარია, თითოეული ფურის წველადობა 4.300 კილოგრამამდე აიყვანეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ შარშანწინდელთან შედარებით შარშან ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 1000 მანეთიდან 340 მანეთამდე შემცირდა, რძისა — 90 მანეთიდან 39 მანეთამდე, ღორის ხორცისა — 500 მანეთიდან 222 მანეთამდე. თუ წინა წლებში საქონლის ყოველდღიური წონამატება უმნიშვნელო იყო, შარშან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო მატებამ 557, ხოლო ღორისამ — 517 გრამი შეადგინა.

როგორია მოიჯარეთა ანაზღაურება? თითოეული წევრი ავანსად ყოველთვიურად ღებულობს 200 მანეთს, ხოლო კვარტალის ბოლოს, გეგმის შესრულების შემთხვევაში, ყოველთვიურად დამატებით კიდევ 200 მანეთს. საშუალო თვიური გარანტირებული ანაზღაურება 400 მანეთია, წლის ხელფასის ფონდი — 82 ათასი მანეთი. შარშანწინ კი საამისოდ 150 ათასი მანეთი დაიხარჯა. „ფერმა — მინდორის“ წევრებმა კარგად იციან, რომ მათი ანაზღაურება საბოლოო შედეგებით განისაზღვრება და დღეინდადგ იღვწიან ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის მიღებისათვის. ხელი მიჰყვეს დამხმარე საწარმოების შექმნასაც.

ილიკო დანელია, მექანიზატორი: შარშან სახელმწიფოს მივყიდეთ იმდენი პროდუქტი, რამდენიც ამ ბოლო 10 წლის მანძილზე ერთად არ უწარმოებია კოლმეურნეობას. კოლმეურნის საშუალო წლიური ხელფასი 1000 მანეთიდან 7.000 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო თითოეული საიჯარო ბრიგადის წევრის მიერ შექმნილი პროდუქცია — 2000 მანეთიდან 24.000 მანეთამდე. ასეთი ნახტომის გაკეთება შევძელით „ფერმა — მინდორის“ ციკლის შექმნით, რამაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რაიონის ხელმძღვანელობას, პირადად რაიკომის პირველ მდივანს რევაზ ნაჭყებიას. იგი მუდამ ჩვენთანაა, შუადამისას თუ ალიონზე, პირუტყვის წველისას მოულოდნელად გვეწვევა ხოლმე. მარტო შესამოწმებლად კი არა, უბრალოდ, საქმით არის დაინტერესებული, ჩვენს ყველა გასაჭირს იზიარებს.

ჩვენი სოფლის მეცხოველეობის მუშაკებს ესმით, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი მარტის პლენუმმა დაგვისახა. ჩვენმა ოთხთი ნახტომის გაკეთება შევძელით „ფერმა — მინდორის“ ციკლის შექმნით, რამაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რაიონის ხელმძღვანელობას, პირადად რაიკომის პირველ მდივანს რევაზ ნაჭყებიას. იგი მუდამ ჩვენთანაა, შუადამისას თუ ალიონზე, პირუტყვის წველისას მოულოდნელად გვეწვევა ხოლმე. მარტო შესამოწმებლად კი არა, უბრალოდ, საქმით არის დაინტერესებული, ჩვენს ყველა გასაჭირს იზიარებს.

ჩვენი სოფლის მეცხოველეობის მუშაკებს ესმით, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი მარტის პლენუმმა დაგვისახა. ჩვენმა ოთხ-

შემოქმედებითი გარჯის კანონზომიერი შედეგი

გეგეჭკორის რაიონისთვის ადრე ფამგებიანი დარგი—მესაქონლეობა რენტაბელური ხდება

საშუალო წველადობამ 2.452 კილოგრამი. ფიადგინა, რაც საგებგმო დავალებასა და შარშანწინდელ მარკენებელთან შედარებით შესაბამისად — 723 და 847 კილოგრამით მეტია. შესრულდა ხბორების მოგების, საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმები. ცენტნერი რძის თვითღირებულება საგებგმოსთან შედარებით 2 მანეთითა და 07 კაპიკით, წინა წელთან შედარებით კი 9 მანეთით შემცირდა, ცენტნერი ხორცის წარმოება შესაბამისად — 116 და 84 მანეთით. მეცხოველეობაში ზარალი შემცირდა 891 ათასი მანეთით. გაუმჯობესდა მწყემსთა და მწველავთა საყოფაცხოვრებო პირობები და სხვ.

წლეულს პირველ კვარტალში ანაზღაურება 400 მანეთია, წლის ხელფასის ფონდი — 82 ათასი მანეთი. შარშანწინ კი საამისოდ 150 ათასი მანეთი დაიხარჯა. „ფერმა — მინდორის“ წევრებმა კარგად იციან, რომ მათი ანაზღაურება საბოლოო შედეგებით განისაზღვრება და დღეინადგ იღვწიან ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის მიღებისათვის. ხელი მიჰყვეს დამხმარე საწარმოების შექმნასაც.

ილიკო დანელია, მექანიზატორი: შარშან სახელმწიფოს მივყიდეთ იმდენი პროდუქტი, რამდენიც ამ ბოლო 10 წლის მანძილზე ერთად არ უწარმოებია კოლმეურნეობას. კოლმეურნის საშუალო წლიური ხელფასი 1000 მანეთიდან 7.000 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო თითოეული საიჯარო ბრიგადის წევრის მიერ შექმნილი პროდუქცია — 2000 მანეთიდან 24.000 მანეთამდე. ასეთი ნახტომის გაკეთება შევძელით „ფერმა — მინდორის“ ციკლის შექმნით, რამაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რაიონის ხელმძღვანელობას, პირადად რაიკომის პირველ მდივანს რევაზ ნაჭყებიას. იგი მუდამ ჩვენთანაა, შუადამისას თუ ალიონზე, პირუტყვის წველისას მოულოდნელად გვეწვევა ხოლმე. მარტო შესამოწმებლად კი არა, უბრალოდ, საქმით არის დაინტერესებული, ჩვენს ყველა გასაჭირს იზიარებს.

მხოლოდ ციფრები და ფაქტები

შარშან რაიონმა 2.530 ტონის ნაცვლად 3.281 ტონა რძე აწარმოვა. წინა წლთან შედარებით ზრდის ტემპმა 135,1 პროცენტი შეადგინა. თითოეული ფურის ათასიანელებმა მიმდინარე წლის იანვარ-მარტში თითოეულ ფურზე 1.450 კილოგრამი რძე მოწველეს, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ წლესვე გადავიბიჯოთ 4.300 კილოგრამიან ზღვარს. უკვე შევასრულეთ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის 6 თვის გეგმა. შესრულდა რძისა და ხორცის წარმოების გეგმებიც. ფერმის შემოსავალი 500.000 მანეთს მიაღწევს, რაც შარშანდელთან შედარებით 450 ათასი მანეთით მეტი იქნება.

პირუტყვს ცუდი ამინდები არ დატყობია და საკვები არ მოჰკლებია, რასაც ასეთი სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს: სახელმწიფოს მიეყიდა 514 ტონა საქონლისა და ფრინველის ხორცი, საგებგმო დავალება კი 488 ტონას ითვალისწინებდა; შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მიყიდულია 94 ტონით მეტი. რძის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა იყო 520 ტონა, ფაქტობრივად კი 861, ანუ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 243 ტონით მეტი მიეყიდა. გადაჭარბებით შესრულდა კვერცხის მიყიდვის გეგმაც.

რევაზ ნაჭყებია, პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი:

— გარდაქმნის საკვანძო პოზიციაა ეკონომიკა, მშრომელთა მატერიალური დაინტერესება. წლების განმავლობაში მეცხოველეებმა გაწეული შრომის ანაზღაურება ვერა და ვერ მიიღეს. მცირე ხელფასმა მათ ტრადიციულ დარგზე გული აუცრუა. მეცხოველეთა ფსიქოლოგიის გარდაქმნა, მათი მობრუნება გაძნელდა, მაგრამ სისტემატური შეხვედრებით თუ საუბრებით, როგორც იყო, შევძელით ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვა. სკკპ XIX პარტიულ კონფერენციაზე იფქვა: რა რესურსებიც უნდა მოვახმაროთ სოფლის მეურნეობას, ჯეროვან უკუგებას არ მოგვცემს, თუ არ ვიზრუნებენ ადამიანისათვის, მისი შრომისა და ყოფის პირობებისათვის. ამ საქმეში იჯარის დანერგვა დაგვეხმარა. პირველად მეცხოველეები ეჭვით უყურებდნენ მას, მაგრამ მერე თანდათანობით დარწმუნდნენ მის სიკეთეში და საქმეც წინ წავიდა. ერთ წელიწადში თითოეული ფურის წველადობის 847 კილოგრამით გაზრდა სწორედ მოიჯარეთა მოუღლელი, თავგანწირული შრომის შედეგია.

ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი. უპირველესად ეს ეხება წარმოებული პროდუქციის სიძვირეს, პირუტყვს სათანადოდ ვერ უზრუნველვყოფთ საკმარისი წარმოების უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული იაფფასიანი საკვებით. მეცხოველეობა რაიონში რენტაბელური დარგი უნდა გახდეს. ასეთია უპირველესი ამოცანა. ამას მივალწევთ, თუ გამოვიყენებთ იმ დიდ რეზერვებს, რომლებიც დღემდე სანახევროდ არ არის ჩაყენებული დარგის რენტაბელობის სამსახურში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჯერ კიდევ სუსტად შეეხო მეცხოველეობას. ძირითადი ყურადღება უნდა მივაქციოთ დარგის ინტენსიფიკაციას, ინტენსიური ტექნოლოგიის საფუძველზე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ მარცვლეული და საკვების კულტურების მოვლა-მოყვანას, სავარგულების ძირეულ გაუმჯობესებას...

გეგეჭკორელ მეცხოველეებს სასახელო საქმეები; მათი მუყაითი შრომა დიდად დასაფასებელია, ხოლო მეთოდები და ხერხები, რომლებსაც აქაური მეცხოველეები იყენებენ, ფართო განზოგადების ღირსია.

გიორგი ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

გავზარდოთ სამართალდაცვითი ორგანოების პასუხისმგებლობა

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეცხრე სესიამ განიხილა საკითხი „XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისა და მიმდინარე წლის 14 თებერვალს გამართული რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის გადაწყვეტილებათა მიხედვით ავტონომიურ ოლქში მეერთამეობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ, სათანადო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში საოლქო საბჭოს ადმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და იუსტიციის განყოფილების მუშაობის შესახებ“.

მომხსენებლებმა საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა გ. ინჯიამ იუსტიციის განყოფილების უფროსმა ვ. ძაგოევმა და თანამომხსენებელმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ზ. გუგკაევმა, სხვა ორატორებმა გააანალიზეს საქმის ვითარება. აღინიშნა, რომ გარდაქმნის, საჯაროობისა და რადიკალური სამეურნეო რეფორმის თანამედროვე ეტაპზე მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ცხოვრების ყველა სფეროში სათანადო წესრიგის დამყარების ამოცანები უპირველეს მნიშვნელობას იძენენ. ამიტომ არ შეიძლება სერიოზული შეშფოთება არ გამოიწვიოს საქმის ვითარებამ ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, შენახვის, გადამუშავების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სფეროში, მკაცრად გააკრიტიკეს ცხინვალის საკონსერვო ქარხანა, პურის მომღები საწარმო, ხე-ტყის კომბინატი, ქარხანა „მინანქარსადენი“, სოფელ ძარწემის კოლმეურნეობა, ჯავის ჩამომსხმელი ქარხანა, ვაჭრობის ობიექტები, საზოგადოებრივი კვების ოპერატივები.

სერიაზე აღინიშნა სამართალდაცვითი ორგანოების არასაკმარისი მუშაობა სოციალისტური კანონიერების დაცვაში, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემდეგ გამოსულმა ე. მარგიევმა, ო. ცოტნაშვილმა, ი. ენალდიევმა, მ. გოხელაშვილმა და სხვებმა, გამოხატეს რა სესიის მონაწილეთა აზრი, მთლიანად დაგვეს გაზეთ „ზხიფში“ გამოქვეყნებული და „ლიტერატურულ საქართველოში“ გადაბეჭდილი ა. ჩიჩიევის წერილი, რომელმაც თავისი პუბლიკაციით სცადა განხეთქილება შეეტანა ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაში. ავტორმა, თქვეს მათ, თავს უფლება მისცა გამოსულიყო მთელი ოსი ხალხის სახელით, თუმცა მისთვის ამის რწმენება არავის არ მიუცია.

სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესიამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან შეიქმნას ოცდაათიან-ორმოციან წლებსა და ორმოცდაათიანი წლების დამდეგს მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ჩეხოევი.

(საქინფორმი).



მეტროს შენებლობაზე

ელექტროშემდუღებელმა ელდარ დიასამიძემ „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივში ცხრა წლის წინათ დაიწყო მუშაობა. მაშინ რკინა-ბეტონის ქარხანას აშენებდნენ, მან ლითონკონსტრუქციების მემონტაჟეთა ბრიგადაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე დათაშვილი ხელმძღვანელობდა, 4 წელი დაჰყო. შემდეგ კი მეტროს მშენებლობის სხვადასხვა უბანზე საქმიანობდა. ახლა კი ელდარი 32-ე საგვირაბო რაზმშია და მას მოწინავეთა შორის ასახელებენ.

„დელის-ბახტრიონის“ გადასარბენი გვირაბის მშენებლობაზე დიდი მუშაობაა. ელექტროშემდუღებელი ე. დიასამიძე აქ ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს.

ვარლამ გენგიურის („კომუნისტი“) ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარეს თ. შავგულიძეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 11 მაისის ნომერში გავეცანი ინფორმაციას სახელმწიფო კომისიის 10 მაისს გამართული სხდომის თაობაზე. როგორც ამ მასალიდან ჩანს, კომისიის სხდომაზე მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეს ვ. ი. ვასილიევს გაუკეთებია ინფორმაცია მიმდინარე წლის 16 აპრილს რესპუბლიკის პროკურატურაში გამართული თათბირის თაობაზე, სადაც მისი სიტყვებით „... აჩვენა მათ (ე. ი. თათბირის მონაწილეებს — ი. მ.) დემონსტრანტთა დაწლის დროს გამოყენებული ხელყუმბარა, რომელიც შეიცავდა ქიმიურ ნივთიერება სი-ეს-ს“.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ 16 აპრილს მომწამვლელი ნივთიერება „სი-ეს“ უკვე იქნა დასახელებული, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ოფიციალურად გაცნობოთ შემდეგი. 16 აპრილს 15.00 საათზე რესპუბლიკის პროკურატურაში სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ ა. კატუსევმა მოიწვია თათბირი, რომელსაც ეხრებოდნენ სამხედრო პროკურატურის და რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების გარდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წარმომადგენელი და ექსპერტები. თათბირის მუშაობაში ვმონაწილეობდი მეც.

თათბირზე სხვა საკითხებთან ერთად, რომლებიც ძირითადად ექსპერტიზის ორგანიზაციას ეხებოდა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის მოთხოვნით წარმოდგენილ იქნა რამდენიმე სახის საბრძოლო საშუალება, რომლებიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წარმომადგენლის ინფორმაციით, გამოყენებული იყო 9 აპრილს მიტინგის დაშლისას. ახსნა-განმარტებას თათბირის მონაწილეებს აძლევდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ქიმიური სამსახურის წარმომადგენელი.

თათბირის მონაწილეებს ეცნობა, რომ წარმოდგენილი ნაკეთობების საერთო სახელწოდება არის „ჩერიომუხა“ და რომ მათ ამასთან ერთად ინდივიდუალური ნომრები აქვთ.

შეკითხვაზე, თუ რა ქიმიურ ნივთიერებას ან ნივთიერებებს შეიცავენ წარმოდგენილი საგნები, ზემოთ მოხსენიებულმა ოფიცერმა გვიპასუხა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, ეს საბრძოლო საშუალებები შეიცავენ ქლორაცეტოფენონს, როგორც ძირითად მოქმედ აგენტს და რომ სხვა რამ მისთვის უცნობია.

ამრიგად, 16 აპრილს გამართულ თათბირზე და არც ერთ შემდგომ გამართულ შეკრებაზე ნივთიერება „სი-ეს“ დასახელებული არ ყოფილა. ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნულ თათბირზე წარმოდგენილი ნაკეთობებიდან ერთ-ერთი (თეთრგარსაცმიანი ხელყუმბარა) „სი-ეს“ შეიცავდა, ჩვენთვის ცნობილი გახდა მხოლოდ მიმდინარე წლის 8 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სპეციალური კომისიის სხდომაზე და მეორე დღეს დადასტურებულ იქნა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით.

ირაკლი მენაღარიშვილი.
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

ქართველი ექიმები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ

— ამბობენ საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები

საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლები მთლიანად დაეთანხმნენ 9 აპრილს თბილისში მომხდარი ამბების შედეგად დაშავებულთა მკურნალობის მეთოდებს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების თხოვნით, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების აქტიური ხელშეწყობით 6-11 მაისს ისინი თბილისში იყვნენ, ეწვივნენ ქალაქის მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებს, შეამოწმეს 330-ზე მეტი კაცი, რომლებიც რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ წარუდგინა. შემოწმების კლინიკური სურათის განზოგადების, გარემოს ანალიზების, მთელი რიგი ექსპერტების დასკვნების გათვალისწინების შედეგ შეიმუშავეს ამ ეტაპზე ავადმყოფთა მკურნალობის სტრატეგია და ტაქტიკა ქართველ მედიკოსებთან ერთად. საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლებმა შეამოწმეს 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიებაში მყოფი მოქალაქენიც. კომისიის დასკვნით მათი ჯანმრთელობა საშიში არ არის.

წითელი ჯვრის რესპუბლიკური საზოგადოების თანამშრომლებთან საბოლოო შეხვედრის დროს გამოჩართა იმპროვიზებული პრესკონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისიის წარმომადგენლები. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ გაიმართა გაფართოებული კონსულიუმი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, განისაზღვრა შემდგომი მკურნალობის მეთოდები, მათი მისთის შესახებ სრულ ცნობას წარუდგენენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებს, ყველა ექიმს იმისათვის, რომ შეუქმნეს მუშაობის პირობები, ხაზი გაუსვეს მათ კომპეტენტურობას. მათ აღნიშნეს, რომ ავადმყოფთა უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შიშს არ იწვევს.

(საქინფორმი).

ᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲝ

საქართველოს თავს დამტყდარი ამდენი უბედურება და მსხვერპლი დიდ ტკივილს მაყენებს. მაინც რამ გაამძვინვარა ბუნება ახე ბოროტად ჩვენს წინააღმდეგ? სვანეთი და ხობი, სამხრეთ საქართველო და რაჭის მეწყერები, ბოლოს — 9 აპრილი და აჭარა!

მე ინჟინერ-გეოლოგი გახლავართ, 40 წლის მუშაობის სტაჟით, არაერთი მეწყერისათვის „მიმკურნალია“ და ახლაც მზად ვარ, თუნდაც ყოველგვარი საზღაურის გარეშე, რომელიმე საჭირო რეგიონში შევიტანო ჩემი მცირე წვლილი მაინც.

შარშან დეკემბერში და წლეულს იანვარსა და თებერვალში ვიმუშავე ლენინაკანი-სპიტაკი-ეროვანის მიწისძვრის რაიონში და ყველა დავალება პირნათლად შევასრულე. ამჟამად გაგზავნილი ვარ ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონი-ჭიათურის ხაზზე, სადაც აგრეთვე უამრავი მეწყერი ჩამოწვა ყვირილას ხეობაში და გარკვეული დროით შეაჩერა მატარებლების მოძრაობა. მზადა ვარ პარალელურად ვიმუშაო ერთერთ ნებისმიერ უბანზე მეწყრების საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით, რომ ოდნავ მაინც შევუმსუბუქო მდგომარეობა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

აქვე ერთიც მინდა ვთქვა: მდინარე ყვირილას ხეობაში მეწყერული პროცესები იმდენად არის გააქტიურებული, რომ თითქმის ყველა სოფელში შექმნილია უკიდურესად საშიში მდგომარეობა ცალკეული ოჯახების მიმართ. იქნებ მთავრობამ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს და საშიში ადგილებიდან მოსახლეობა სხვა რეგიონებში ჩასახლოს, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში — მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში.

ლ. რეხვიაშვილი.
საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი.

აჭარა: იმედის ნათელი

გორელთა თანადგომა

გორი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). 15 სატვირთო ავტომანქანა გაემგზავრა აჭარისაკენ. რაიონის მმართველობამ სტიქიისაგან დაზარალებული ხულოსა და შუახევის რაიონების მცხოვრებლებს გაუგზავნეს დიდძალი სურსათ-სანოვაგე: 6 ტონა ხორცი, 2 ტონა ლობიო, 6,5 ტონა ვაშლი, 1 ტონა ხორცი, 2 ტონა ფქვილი, 20 ათასი კვერცხი, საკონსერვო ნაწარმი.

სულ მალე 150 ოჯახი აჭარის დამეწყრილი რაიონებიდან საცხოვრებლად გორის რაიონში გადმოვა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უკვე იზრუნეს მათი დასახლებისათვის. ძველრის, ვარიანის, ზელდულეთის, მინდისის, შავშვებისა და მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში უკვე გამოყოფილია დაახლოებით 50 ჰექტარი ფართობი. ხულოსა და შუახევის რაიონების ხელმძღვანელები იყვნენ სოფლებში, სადაც მომავალში აჭარელი ქმები დასახლდებიან. საცხოვრებლად, დასამკვიდრებლად ჩინებული ადგილებია, — ასეთია მათი აზრი.

მინდა წვლილი შევიტანო

საქართველოს თავს დამტყდარი ამდენი უბედურება და მსხვერპლი დიდ ტკივილს მაყენებს. მაინც რამ გაამძვინვარა ბუნება ახე ბოროტად ჩვენს წინააღმდეგ? სვანეთი და ხობი, სამხრეთ საქართველო და რაჭის მეწყერები, ბოლოს — 9 აპრილი და აჭარა!

მე ინჟინერ-გეოლოგი გახლავართ, 40 წლის მუშაობის სტაჟით, არაერთი მეწყერისათვის „მიმკურნალია“ და ახლაც მზად ვარ, თუნდაც ყოველგვარი საზღაურის გარეშე, რომელიმე საჭირო რეგიონში შევიტანო ჩემი მცირე წვლილი მაინც.

შარშან დეკემბერში და წლეულს იანვარსა და თებერვალში ვიმუშავე ლენინაკანი-სპიტაკი-ეროვანის მიწისძვრის რაიონში და ყველა დავალება პირნათლად შევასრულე. ამჟამად გაგზავნილი ვარ ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონი-ჭიათურის ხაზზე, სადაც აგრეთვე უამრავი მეწყერი ჩამოწვა ყვირილას ხეობაში და

დაზარალებულთა დასახმარებლად

ამ დღეებში ქუთაისში ყველაზე პოპულარული პიროვნება გახდა საბინაო-კომუნალური ბანკის მმართველი თენგიზ თავზარაშვილი.

— ვინ არ მირეკავს, რომ შეტყოს, რა გზით შეიძლება გაუწიოს დახმარება მთიანი აჭარის მოსახლეობას, — უთხრა ფინანსისტმა საქინფორმის კორესპონდენტს. — ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში, რომლის ნომერია 270001.

დღეისათვის მარტო საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივებისაგან ანგარიშზე გადარიცხულმა თანხამ 300 ათას მანეთს გადააჭარბა. შენატანები კვლავ მოდის კერძო პირებისაგან. დახმარების ფონდში ორი დღის ხელფასი გადარიცხეს შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და სამედიცინო დაწესებულებების კოლექტივებმა. 20 მაისს საავტომობილო ქარხანაში გამოცხადებულია შაბათობა აჭარაში დაზარალებულთა დასახმარებლად. ამ დღეს გამომუშავებული ფული მთლიანად გადაირიცხება ბანკის სპეციალურ ანგარიშზე.

საქველმოქმედო მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ ქუთაისელი ქალიშვილები და ჭაბუკები. ახალგაზრდა მედიკოსებმა მიიღეს გადაწყვეტილება თავიანთი შვებულების ხარჯზე გაემგზავრონ და ადგილზე დაეხმარონ აჭარელ მშრომელებს. აღდგენითს სამუშაოებში მონაწილეობის მიღების მრავალი მსურველია უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და სკოლებში. ახლა კომკავშირის საქალაქო კომიტეტში მიმდინარეობს იმ ჯგუფების შერჩევა და კომპლექტაცია, რომლებიც გაემგზავრებიან აჭარაში ზაფხულის არდადეგების პერიოდში.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲗ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ

საქმე ადგილიდან არ იძვრის

რატომ მიეცა დაჯილოვებულ ინჟინერ-დავით ცაგარეიშვილის გამოგონება?

რესპუბლიკაში მწვავედ იგრძნობა, რომ თითქმის არა გვაქვს სამთო-სამეურნეო მანქანები, რომელთა მეშვეობითაც მთაგორიან რაიონებში, ეროზიის თავიდან აცილების მიზნით, შეეძლებდით გარდიგარდმო დაგვემუშავებინა დაფერდებული მიწები, რომლებსაც 60-იან წლებამდეც კი მხოლოდ ცოცხალი გამწეები ძალით ამუშავებდნენ. დღესაც ათასობით მეტრი ასეთი სახნავ-სათესი სამცხე-ჯავახეთში საძოვრებადღა გამოიყენება.

იმის გაუთავებელმა ცდებმა, რომ სერიული წარმოების ტრაქტორები სამთო ტრაქტორებად გადაეკეთებინათ, როგორც ცნობილია, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მექანიზატორები ფერდობებზე სამუშაოდ შედარებით უკეთ იყენებენ ისეთ თვლებიან ტრაქტორებსა და თვითმავალ შასებს, რომელთა კორპუსი ავტომატურად ინარჩუნებს მუდმივ სწორ ჰორიზონტალურ მდგომარეობას. ასეთებია „ტ-50“, „ტ-406“ მარკის ტრაქტორები და სხვ. მაგრამ ვერც ეს მანქანები მუშაობენ სრულყოფილად ფერდობების გასწვრივ დამუშავებაზე.

სამცხე-ჯავახელი მექანიზატორები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნის დღიდან, მუდამ იმას ოცნებობდნენ, თუ როდის ექნებოდათ ისეთი ტექნიკა, რომელიც რელიეფის ყოველგვარ

დავუბრუნოთ ვალი ისტორიას

10 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვახტანგ კვარაცხელია.

მოხსენება გააკეთა კომისიის წევრმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, მან ილაპარაკა ტოპონიმიკის მნიშვნელობაზე, რომელსაც უწოდა ხალხის ისტორიისათვის დაწერილი მატიანე. აგდილმდებარეობის, მდინარეების, მთების, ლანდშაფტის სხვა ობიექტების სახელწოდებებში ხომ დაფიქსირებულია ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ისტორიული ხსოვნა. ამიტომ აბსოლუტურად გაუმართლებელია გეოგრაფიული ობიექტების, განსაკუთრებით ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა შეცვლის ტრადიცია, რომელიც ჩვენთან ოციან და მომდევნო წლებში ჩამოყალიბდა. უფრო სწორად მიგვაჩნია შევუნარჩუნოთ მათ ისტორიული სახელწოდებანი. ახალი სახელები კი უნდა დავარქვათ ახლად აშენებულ დასახლებულ პუნქტებს.

ეს საკითხები წინათაც არაერთგზის დასმულა, განხილულა რესპუბლიკური და ცენტრალური პრესის ფურცლებზე. და ინ ახლა თ. გამყრელიძემ შემოიტანა კონკრეტული წინადადება: დაუბრუნოთ. ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს მათი ისტორიული სახელწოდებანი. საქმე ეხება ოზურგეთს (მახარაძე), სენაკს (ბიხა ცხაკაია), ხონს (წულუკიძე), მარტვილს (გეგეჭკორი) და ხარაგაულს (ორჯონიკიძე).

კომისიის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში შედიან თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსმენილ მოხსენებელს. კომისიამ დაადგინა რეკომენდაცია მისცეს მაზარაძის, ცხაკაიის, წულუკიძის, ორჯონიკიძისა და გეგეჭკორის სახელსა დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ისტორიულ სახელწოდებათა აღდგენის საკითხი. ისინი უმოკლეს ვადაში წარმოადგენენ თავიანთ „წინადადებებს ამ საკითხზე „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.

კომისია კვლავაც განიხილავს მუშაობას ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონებისათვის ისტორიულ სახელწოდებათა დაბრუნების შიზნით. (საქინფორმი).

სახალხო ფრონტი — ნიშნავს ვიყოთ ერთად

თბილისი კინოს სახლში გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციების რწმუნებულთა კრება.

მოეწყო აზრთა ფართო გაზიარება, ყოველ მსურველს შესაძლებლობა ჰქონდა თავისუფლად გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი.

კრების მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს სახალხო ფრონტის მომავალი დამფუძნებელი ყრილობის მოწვევის საკითხი. ყრილობის მოსამზადებლად შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

კრებამ მიიღო მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებშიც განსაზღვრულია დამოკიდებულება რესპუბლიკაში შექმნილი ახლანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციისადმი.

(საქინფორმი).

მაპულს გული...

მოდიოდა იგი — ახოვანი, ტანსრული, განუყრელი პორტფელითა, მძიმე-მძიმედ მოაბიჯებდა. მზე ადგა უნივერსიტეტს, ბარჩხალა მზე ანათებდა მის ეზო-ყურეს...

ეს, აგერ იყო, მოგვიანებით, უკვე დამაშვრალი, ათას ბრძოლაგადახდილი მოდიოდა შალვა ამირანაშვილი.

კრძალვით ვაყოლებდით თვალს, ვიცოდით მისი დამსახურება ერის, ქართული კულტურის წინაშე, იმ ბრძოლებზეც ზოგი რამ გაგვეგო.

ბაგალითად:

1922-23 წლებში შალვა ამირანაშვილი მოსკოვში მიავლინეს, რათა ცარიზმის მოხელეთა მიერ მიტაცებული განძეული სამშობლოში დაებრუნებინა. საოცრად გაძნელდა ყველაფრის დაბრუნება... ვთქვათ, ხახულის ხატისა... და, აბა, წარმოიდგინეთ, რა სულიერი და ფიზიკური ძალისხმევა დასჭირდებოდა ამ ეროვნული საქმის კეთილად აღსრულებას.

ახლა ჩვენი ეკლესიებიდან გატაცებული ხატების შეგროვება?.. ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა შალვა ამირანაშვილმა ყოველი კუთხე, ზოგან ნებით, ზოგან თხოვნით დაიყოლია ადგილობრივი მოსახლეობა, აუხსნა მათ, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა ერის საგანძური და, რასაც მისწვდა, თბილისში, მუზეუმში ჩამოიტანა...

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ჯავახიშვილი იგონებს:

— სამოციან წლებში, ხრუშჩოვის, ფურცევას თუ, აღარ მახსოვს ზუსტად, ვისი მოთხოვნით, მუზეუმიდან ზოგი ნივთი — უძვირფასესი განძი მოსკოვში უნდა გაეგზავნათ... მახსოვს, როგორ ლომივით იდგა ბატონი შალვა, და განძის ხელყოფის უფლება არავის მისცა, თუმცა ამის გამო ინფარქტიც გადაიტანა...

ბატონი შალვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება იყო. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე იგი გაიტაცა ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლამ, რაშიც მას დიდად დაეხმარა ჩვენი დაუვიწყარი გიორგი ჩუბინაშვილი. მართალია, მოგვიანებით, მასწავლებელსა და მოსწავლეს დავა ჰქონდათ ხელოვნების საკითხებზე, ეს დავა წმინდა პროფესიულ ფარგლებს არასდროს გასცილებია და შალვა ამირანაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ემადლიერებოდა თავის ღვაწლმოსილ მასწავლებელს. ქართული ხელოვნების ისტორია დღეს ამ ორი დიდი პიროვნების ნაღვაწს ეყრდნობა.

მე ბატონი შალვას ასპირანტი გახლდით, მისი რჩევით ვიმუშავე საკანდიდატო დისერტაციაზე... ეს იყო უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, რომლისთვისაც სამშობლოს გარდა, სხვა არაფერი არსებობდა...

* * *

შალვა ამირანაშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი უდიდესი მამულიშვილური საქმისა — პარიზიდან ჩვენი ეროვნული განძის დაბრუნებისა. როგორც ამბობენ, იგი სტალინსაც კი ეახლა, რათა ამ საქმეს შველებოდა. 1945 წელს ჩადის პარიზში, სადაც მას ელოდება განძეულის მცველი და პატრონი, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი. ადვილი არ იყო ექსპონატების აღწერა, ფიქსაცია, გამოსაგზავნად გამზადება. როგორც ჩვენმა საზოგადოებრიობამ იცის, 1945 წლის აპრილში ეროვნული განძი უკლებლივ დაუბრუნდა საქართველოს.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ნათელივით ადგას გამოკვლევა ქართულ მინანქარზე (მონოგრაფია გამოიცა პარიზში, გამოვიდა ინგლისურ და იტალიურ ენებზე), ბეჭა და ბეშქენ ოპიზრების შემოქმედებაზე, ქართული კედლის, კერამიკის, უბის მხატვრობაზე, ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია“ უძველესი დროიდან ჩვენს საუკუნემდე და ა. შ. მათში ნათლად იკვეთება სწავლულის მყარი მეცნიერული პოზიცია, ღრმა განსწავლულობა და ინტელექტი.

* * *

აი, XIX საუკუნის 30-იან წლებში აგებული სასულიერო სემინარიის შენობა თბილისის ცენტრში, პუშკინისა და კეცხოველის ქუჩების შესაყართან. დღეს, ალბათ, ყველა თბილისელმა იცის, რომ ამ შენობაში მოთავსებულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

გვესაუბრება მუზეუმის დირექტორი **თამაზ სანიკიძე:**

— ბატონმა შალვამ უდიდესი ამაგი დასდო საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებას. იგი, ჯერ კიდევ ასპირანტი, დიმიტრი შევარდნაძის მიერ დაარსებულ ეროვნულ გალერეაში მუშაობდა. 1920 წელს გალერეას ხელოვნების მუზეუმი დაერქვა და შალვა ამირანაშვილი იქ უკვე ფერწერის განყოფილების გამგე იყო. 1939 წლიდან მუზეუმის დირექტორია.



მისი ინიციატივით გადმოვიდა მუზეუმი ამ შენობაში. წარმომიდგენია, რა ბრძოლა და დავიდარაბა გადახდა ბატონ შალვას, რომ ჯერ ეს შენობა მიეღო და შემდეგ მუზეუმის შესაფერისად გადაეკეთებინა. 1952 წელს მუზეუმი საბოლოოდ დაბინავდა აქ და ქართული ხელოვნების პირველი ექსპოზიციაც გაიხსნა, მაყურებელმა იხილა უმდიდრესი კოლექციები...

მისი ავტორიტეტის, დაუცხრომლობის, მგზნებარე გულის წყალობით, მუზეუმს ბევრი ექსპონატი შეემატა „ერმიტაჟიდან“, ტრეტიაკოვის გალერეიდან, პუშკინის მუზეუმიდან... შალვა ამირანაშვილმა შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა მთელი კოლექტივი, ჩაენერგა მათთვის საქმის უდიდესი სიყვარული, მაშინ ხელფასებიც შედარებით მცირე იყო, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა...

თამაზ სანიკიძის საუბარს საგამოფენო განყოფილების გამგე **გიორგი მაძაცარია** განაგრძობს:

— ფიროსმანის შემოქმედებას მთელი ევროპა ბატონი შალვას წყალობით გაეცნო. ეს სამოციანი წლების მინურული იყო. ჯერ — მოსკოვში ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა, მერე — ჩეხოსლოვაკიაში, მერე — პოლონეთში, პარიზში — ლუვრში... ქართული ხელოვნების საოცარი წარმატებების მოწმე გავხდი... ექსპოზიციას ვაწყობდი და ვხედავდი, როგორ ბავშვივით იყო აღტკინებული ბატონი შალვა — ეს ამოდენა კაცი...

აქვე, მუზეუმში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს **ჯუმბა ნადირაძეს** შევხვდი. იგი არქეოლოგიის საკითხებით ავსებს მეგობრების ნაუბარს:

— შალვა ამირანაშვილმა ჯერ კიდევ 1957 წელს შექმნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც პროფესორი ოთარ ჯაფარიძე უდგას სათავეში. ექსპედიციამ 60-იან წლებში ძალზე მდიდარი მასალები მოიპოვა სამხრეთ საქართველოში... 1966 წელს ჩვენ მოგვანდეს საირხის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა, და თუ რა განძი გამომზეურდა, ამ ბოლო ხანს მაინც, საირხეში, კარგად იცის ქართველმა საზოგადოებრიობამ... ასე რომ, ბატონი შალვას ღვაწლი ქართულ არქეოლოგიაშიც ფასდაუდებელია...

ეხლახან 90 წელი შეუსრულდებოდა შალვა ამირანაშვილს. მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ერთიანად დაიხარჯოს კაცი სამშობლოს სამსახურში. სამშობლოს მსახურად დარჩა ღრმა თანამედროვეების, უამრავი შეგირდების ხსოვნაში, ასეთ პიროვნებას შეეძლო გაემეორებინა პოეტის სიტყვები: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“.

ვილენ მარდალეიშვილი.

ეს სიყვარულის ღამე იყო...

ლადო გუდიაშვილის „სილამაზის საიდუმლოება“ და კიდევ სხვა რამ

ბუალამ გადასულია. დიდ ხნის წინათ წაკითხული წიგნი უკვე არაერთი კვირაა სასთუმალთან მიძევს და ყოველი დაწოლისას კვლავ ხელში ვიღებ. მაგრამ დღეს ქალალდი და კალამიც ავიღე— შინდა მათი დახმარებით ვცადო იმის ჩაწვდომა, რის ჩაწვდომაც ჭეშტარმეთი უამისოდ ვერ მოვახერხე, — შესაძლებელია თუ არა გავიგო, თუ შეიძლება ახე ითქვას, ! იდუმალება, რომელსაც ეს წიგნი შეიცავს. წინასწარ ვიცი — „ამოა“ ამის ცდა: იდუმალება — სიყვარულის იქნება ეს, მშვენიერებისა თუ ხელოვნებისა, სწორედ იმიტომ არის იდუმალება, რომ გონება ვერ სწვდება. მაგრამ ვიცი სხვა რამეც. თვით ეს ცდა — თუნდაც განწირული — ჩასწვდი მღელვარე, რაღაცით მნიშვნელოვან გრძნობებს, ბევრ რამეს აძლევს გულსა და გონებას.

ლადო გუდიაშვილი — მსხვილი თეთრი ასოებით აწერია ყდის შუქ ფონზე. ხომ გრძნობთ მუსიკას? ლადო, გვარი კი ლამის მთელი სიუეტია: გუდია — თითქოს ვიღაცის ალერსიანი ძახილია, შვილი კი — მშვიდი და რბილი პასუხი. ან: გუ — გვეძახის იგი, დია — სიყვარულით და ოდნავ კეკლუცად ისმის პასუხი, შვილი კი სინაზედ ოსდებია ორივეს. ქვემოთ უფრო წვრილი შრიფტით (თითქოს მტუქსავსო ჩემი დღეგანდელი ცდისთვის) — სახელწოდება: „სილამაზის საიდუმლოება“. მანაც კი, როშელმაც გამოიცნო ეს იდუმალება, — რამეთუ როგორ გამოხატავ, თუ არ ამოიცან! —ასეთი განსაზღვრება დაუტოვა სილამაზეს. და აი, აქვე, ყდაზე მოგვეკლინა „სიყვარულის ბულბულივით“. მაგრამ ნახაზზე ჯერ არაფერს ვიტყვი, ეს მთავარია. ჯერ თანამიმდევრობით უნდა გავიხსენო ყველაფერი.

თავდაპირველად ლენინგრადში ვიყავი, სადაც სამ წელს ვსწავლობდი ლენინგრადის უნივერსიტეტის ისტორიკის პროფესორთან მ. ს. კაგანთან (მეამა, როცა წავიკითხე, როგორი მადლიერებით იხსენებს გუდიაშვილი ამ კაცს თავისი ცხოვრების ძნელ ხანაში მხარდაჭერისათვის). მახსოვს, მ. ს. კაგანი დღენიადაგ იმუქრებოდა, ჩემს კათედრასთან ქართული სუფრის ტრადიციების ფილიალი უნდა გავხსნაო. და, ეტყობა, ეს სულაც არ იქნებოდა ზედმეტი, რადგან ჩვენ— ასპირანტები, მასწავლებლები, კათედრის უამრავი სტუმარი — ძალზე შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით და ბჭირად ვხედებოდით ერთმანეთს სუფრასთან. მოდა, არც ერთი სუფრა არ მახსოვს, ჩემს მასწავლებელს ლენინგრადის შემდეგ თავისი მეორე სამშობლო — თბილისი რომ არ ედღეგრძელებინოს (ცხადია, ლაპარაკი იყო სულიერ ნათესაობაზე). პირველად მისგან შევიტყვე ლადო გუდიაშვილის სახელი.

რას არ მოესწრება კაცი. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ გავა სულ რამდენიმე წელი და თვითონ აშოვყოფ თავს ხაქართველოში, არა მარტო ზღაპრულ, არამედ მაშინ ჩემთვის რეალურ თბილისში, თვით მხატვრის სახლში. სახლში, რომელმაც არ შეიძლება არ გაგაოცოს, მეტადრე — თუ პირველად ხარ საქართველოში. „გრძნობების მოზღვავება“ — ალბათ დაახლოებით პოეტის ამ სიტყვებით შეიძლება გამოხატო ეს სულიერი მდგომარეობა. თანაც ჩემთვის, ჩრდილოელი ადამიანისათვის, ეს მშვენიერი ინტერიერი, ოთახებში სივრცის შეგრძნება, ხასხასა ფერები, ლამაზი ხაზები, — ეს მოზღვავება ნიაღვარს ჰგავდა, რომელიც ლამის წაგლეკავდა, მოულოდნელად მოვარდნილი.

მაგრამ დავუბრუნდები ლენინგრადს. მით უმეტეს, რომ სწორედ იმ ხანად გამოვიდა მხატვრის დიდი ალბომი, რომელსაც წინ უძღოდა მ. ს. კაგანის წინასიტყვაობა ინგლისურ ენაზე. მახსოვს, მაშინ რაღაც მეტად თავისებურთან, სანტერესოსთან, თითქმის ფანტასტიკურთან თანაზიარობის გრძნობა დამეუფლა, მაგრამ მოჯადოებით უფრო გვიან მოვჯადოვდი.

ახლა ახე მგონია: ეს იმიტომ არ მოხდა მაშინ, რომ საქართველოს არ ვიცნობდი. თუმცა, იქნებ ეს სადავოც იყოს, მაგრამ მხოლოდ დიდი კულტურის ადამიანს, ხელოვნების ენის კარგ მცოდნეს შეუძლია ჩაწვდეს ახვა, მისთვის უცნობი კულტურის მხატვრულ არსს. განსაკუთრებით, თუ ეს ისეთი მხატვარია, რომლის ეროვნული თავისებურება ხელოვნებაში ისეთი ძალით და ხილრმით არის გამოხატული, როგორც გუდიაშვილთან.

მერე, უკვე 2-3 წლის შემდეგ ვიყავი საქართველოში. ძველ თბილისში გასეირნება და დაუვიწყარი ხედი მეტეხიდან, საგურამოში ილია ჭავჭავაძის 150 წლისთვის ეშმაროტად სახალხო დღესასწაული და თრთოლვა, რომელიც ალბათ ყველას ეუფლება მთაწმინდის ხილვისას. განუმეორებელი, იქნებ თბილისზე უფრო ქართულიც კი იყო ქუთაისი თავისი დიდებული გელათითა და ბაგრატით. მერე ვანი, ძველი კოლხეთი! თბილის-თელავის გზა, სადაც უჩვეულო სილამაზით მოხატული მთები, ზედ ამაყად რომ ჩამომართულან ციხეები! მცხეთა და ჯვარი? მაგრამ რა ჩამოთვლის ყველა იმ სასწაულს, საქართველოში რომ ვიხილე?! რა სათქმელია და, გული ბეტკინება კიდეც უბრალოდ რომ ჩამოთვალო ის, რაც მარგალიტივით აკინძული ძაფზე, ყოველი მათგანი ხომ ბრილიანტებით მოჭედილი სამკაულია, ჩემთვის კი მთავარია არ დავკარგო, ხელიდან არ გავუშვა ის ძაფი, რომელსაც გუდიაშვილის იდუმალებასაკენ მივყავართ. აქ ნახავთ ყველაფერს — ციხეებსაც, ზვრებსაც, მთაწმინდასაც, მტკვარსაც, ბაგრატის ტაძრისაკენ მიმავალ ვიწრო საფეხურებსაც, მაგრამ არც ეს არის მთავარი (თუმცა, იქნებ იყოს კიდეც!) მთავარია — ადამიანები.

არ ვიცი, იქნებ ქართულმა ბუნებამ გააჩინა ისინი ასეთად. მზე და ბარაქიანი მიწა, მთების თავბრუდამხვევი სილამაზე და ბობოქარი მდინარეები... ან, იქნებ, დრამატიზმით აღსავსე ისტორიამ, როცა დამპყრობთა გაუთავებელმა შემოსევებმა ასწავლეს მეგობრის დაფასება და მტრის სიძულვილი. სამშობლოს გრძნობამ! ღმერთო, რას ნიშნავს ქართველისთვის საქართველო! მეეჭვება, რომ ჩვენ, რუსებს, უფრო ზუსტად თანამედროვე რუს კაცს, შეეძლოს ამის ბოლომდე გაგება! ასეა თუ ისე, როცა ჩემს მეგობრებს ვუყითხავ გუდიაშვილის სიტყვებს საქართველოზე, მათ ეს მთლად ბუნებრივად არ ეჩვენებათ. მათ არ იციან, ქართველები თავიანთი მეგობრების ვიწრო წრეში როგორ ლაპარაკობენ სამშობლოზე, რა გატაცებით საუბრობს ქართველი იმ ინტიმურ ვითარებაში იმერეთზე თუ კახეთზე, რომ თბილისის, ქუთაისის, თელავისა თუ ზუგდიდის ქუჩებში გამვლელს რომ ჰკითხოთ, სად არის ესა თუ ის ეროვნული ძეგლი, დაუყოვნებლივ დაგიწყებს ახსნა-განმარტებას და გზას მიგაჩვენებს. ჩვენც სათუთად ვეკიდებით რუსეთს, რუსულ კულტურას, მაგრამ ეს უფრო წარსულისთვის არის დამახასიათებელი.

საქართველოზე და ქართველებზე რომ ვლაპარაკობ, განზრახ არ ვხმარობ ჯერ სიტყვა „სიყვარულს“, რადგან სიყვარული ქართველს სულში აქვს ჩაბუდებული, ყოველ შემთხვევაში ასეა, რამდენადაც მე დავინახე, ეს არის მისთვის მთავარი. დიახ, სამშობლოს სიყვარული და ადამიანის სიყვარული — აი, ქართული სულის გამსჭვალავი ორი მთავარი სიყვარული, რომლებიც ერთმანეთში გადადის. მათ კიდევ ბევრი რამ უყვართ, მაგალითად, კარგი ღვინო, ოჯახური სიმყუდროვე და ლამაზი ქალები, მაგრამ ყოველივე ეს მეორეხარისხოვანია.

ლადოს მოგონებანი უწინარესად იმით ეხებათ, ვინც მასთან ერთად მოაბიჯებდა ცხოვრებაში. ძირითადად მათდამი დამოკიდებულებაში იგრძნობა თვით მოგონებათა ავტორის პიროვნება. როგორი სიყვარულით იგონებს თავის უამრავ მეგობარს, რა განუმეორებელ სიტყვებს პოულობს თითოეული მათგანისადმი თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად. ვერაფერს იტყვი, მეგობრების მხრივ ბედმა გაუღიმა. მაინც, რამდენი გამოჩენილი პირი ყოფილა მასთან დაახლოებული. მოდილიანი და პასტერნაკი, ესენინი და ახლედიანი, ლეონიძე და ტაბიძე... ყველას ვერ ჩამოთვლი. თუმცა, რატომ ვამბობ, ბედმა გაუღიმა-მეთქი? განა ეს შემთხვევითობაა, „ღებალია“? განა შეიძლებოდა, ასეთი მასშტაბის ტალანტი ადამიანთა ინტერესის ფარგლებს მიღმა დარჩენილიყო? ანდა, განა მარტო ტალანტია მთავარი?

ვინ არ იცის, რომ არის ცნობები, რომლებზეც ეაცობრობა ტვინს იტყლეტავს დასაბამიდან, ყოველ შემთხვევაში, თაობათა მანძილზე მაინც. ვთქვათ, ახლა ბევრ ჩვენგანს აწვალებს კითხვა: რას ნიშნავს ინტელიგენტობა? ყველა ჩვენთვის ცნობილი პასუხიდან ყველაზე ზუსტი (თუმცა, რა თქმა უნდა, იქნებ არასრული) პასუხი მოგვცა ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილმა ანატოლი ვასილის ძე უფროსმა: „ინტელიგენტობა სულის სიფაქიზეა“.

ასევე ძნელია, იქნებ კიდევ უფრო ძნელი, უპასუხო კითხვა: რა არის ხელოვნება? კაცობრობა დიდხანს ფიქრობდა, ახლაც ფიქრობს და, ალბათ, ყოველთვის იფიქრებს მხატვრულობის არსზე. შეუძლებელია მისი დაყოფა იდეად და გამომსახველობის საშუალებად, ფორმად და შინაარსად, ცოდნად და მნიშვნელობად. მაგრამ ვან გოგმა, რომელსაც თეორეტიკოსობის პრეტენზიები არ ჰქონია, ხელოვნების თავისებური გაგება მარტივად ჩამოაყალიბა: „უწინარეს მხატვრულობაა ადამიანის სიყვარული“.

გუდიაშვილის შემოქმედებაში სიყვარული მარტო თემა კი არ არის, პრინციპია მოდელისადმი ხის დამოკიდებულებაში, ეს არის მაყურებლისადმი მისი დამოკიდებულების არსი. აი, რა. საინტერესოდ გამოვიდა: მინდოდა უწინარესად მშვენიერებაზე დამეწერა. მშვენიერებაზე სურათებში და სურათების მშვენიერებაზე. თითქოს მშვენიერება მთავარია მის შემოქმედებაში. ჰოდა, როცა კიდევ ერთხელ გადავხედე წიგნს, როცა მომაგონდა საქართველო, თანაც მეხსიერებამ შემომინახა ვან გოგის შენახნშნავი აზრი, დავინახე — სიყვარული. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. რადგან სიყვარული მარტოოდენ მშვენიერება არ არის.

ამბობენ ხელოვნება იქ იწყება, სადაც შინაარსის გადმოცემა შეუძლებელია ხმა ენით. ხელოვნება იდუმალებით იწყება. შემთხვევითი როდია, რომ სიყვარული იდუმალებაა. როგორც შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რატომ გიყვართ სწორედ ეს ადამიანი, ასევე შეუძლებელია გუდიაშვილის ტილოებზე ჯადოსნური ხაზების გამოცნობა. ღმერთო, რა ხაზებია, გონებას დაგაკარგვინებს თავისი უცნაური სრულყოფილებით. დახუჭული, მოკუტული ან ფართოდ გახელილი თვალების ხაზები, წარბები, მგრძნობიარე ტუჩები, მოგრძო სახეები, დახრილ თავის ნაზად მთრთოლვარე ნაკეთები, ხელების, მხრების, მკერდის ჩანჩქერივით ხაზები, მოცეკვავე ქალის მიხვრა-მოხვრა, თითქოს შემთხვევითი პოზა დაიჭერაო...

დაუფიქრებლად გადავშალე წიგნი, ვაკვირდები ელისოს თავს — აქ ყველაფერი მომხიბლავია: სევდიანი, ლურჯი მოკუტული თვალებიც, შეფაკლული ღაწვებიც, უბიწო და მგრძნობიარე ტუჩებიც, ალმოდებული თმებიც. გადავშალე ფურცელი: „წითელი ხელთათმანები“. სახის მთელი არხი სხეულის მოყვითალო ხაზებშია: იდაყვებისა და მუხლების, მკერდისა და თეძოების მოხდენილი ელვა, სახის ნაკვთები, ზეაწეული ხელის მტევნები, მომდევნო გვერდზე ქალიშვილი ჩიტს ეთამაშება, მისი სხეულის მომოზვრა კი თითქოს — მნახველს. რამდენი გრძნობა, სიეხკანე და ამასთანავე უბიწოებაა ამ თამაშში. კიდევ გადავშალე — „ცისფერი კოცნა“, სადაც სული და სხეული, სიყვარულის ბუნებრიობა და ადამიანურობა გადმოცემულია არა მარტო ფანტასტიკურად ზუსტად მიგნებული კომპოზიციით, არამედ ლანდშაფტის, პეიზაჟისა და ადამიანთა სახეების ალერსიანი შერწყმით. დიან, გუდიაშვილის უცნაურ და ამასთანავე ჰარმონიულ ხაზებში მთელ საქართველოს ვხედავ — მის მგრძნობიარებას და სულიერ სიმაღლეს, მის სიღიადეს და სადარბაისლეს, მის ღირსებასა და გულუხვობას, და ბოლოს, სიცოცხლის ფანტასტიკურ სიყვარულს! სწორედ ეს სიყვარულია დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა, რომელიც მუდამ იგრძნობა კოლორიტულ, მსუბუქი იუმორით აღსავსე ქართულ მეტყველებაში, ქართულ სუფრაში, ქართული ჩუქურთმის განუმეორებელ ფანტაზიაში, ქართული სიმღერების ფერადოვნებასა და ინტონაციებში. ყველაფერში, რაც ეროსისხლხორცი და გამოხატა თავისი შემოქმედებით ლადო გუდიაშვილმა! ლადო გუდიაშვილის სურათებს რომ ნახავთ, საქართველო შეგიყვარდებათო, უთქვამს ფრანგ ხელოვნებათმცოდნეს, და ზუსტადაც უთქვამს.

მაგრამ, დაბეთ, თავს დამთენებია. მაცდუნებელია ზამთრის ღამის წყვდიადი. რას მივაგენი? სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვი. ემოციამ წამლეკა, ანალიზის ნაყოფი კი არ ჩანს. და მაინც, მაინც... არ ვნანობ, რომ მოვცდი. ეს სიყვარულის ღამე იყო..

ისე მოხდა, რომ ეს „ფიქრები“, რომლებიც შარშან შემოდგომით გავუზავნე ქართველ კოლეგას მოსკოვში, რამდენიმე თვეს მოგზაურობდა საფოსტო გზებით და უკან დამიბრუნდა. ახლა აპრილი იწურება. ახლა ისტორიულ სოფელ მჭადიჯვარში ვარ ძალიერშვილების ოჯახში და ზანტად ვფურცლავ გაყვითლებულ ჩანაწერებს. კაშკაშა ქართული მზე მეალერსება, აპრილის ატეხილი სიმწვანე ახარებს თვალს და შორიახლოდან მესმის ჩემი პატარა ქართველი მეგობრების — ნინოს, ეკას, პაპუნას წკრიალა ხმები. ისინი ბავშვური, მაგრამ სევდამორეული ხალისით თამაშობენ მდელოზე. აქვე კი ტახტზე ნიავი აფრიალებს რუსულენოვან ქართულ ახალგაზრდულ გაზეთს იური როსტის ინფორმაციითა და ფოტოებით...

ნუთუ მართლა აბსურდია და მეტი არაფერი ჩვენი სამყარო!

გალინა ბრანდტი,
ხელოვნებათმცოდნე.

სურათზე: ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედანი თბილისში.
ე. რასოლევის ფოტო.

ურალი.

მოვლენათა ქრონიკა

სესიამ დაადგინა

ბაიმართა ცხაკაია სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს რიგგარეშე სესია. მან განიხილა საკითხი, რომ ქალაქ ცხაკაიასა და ცხაკაიის რაიონს დაუბრუნდეს თავიანი ისტორიული სახელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხთა კომისიის რეკომენდაციის თანახმად.

მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აღიძრა საკითხი, რომ ქალაქ ცხაკაიას დაერქვას ქალაქი სენაკი, ცხაკაიის რაიონს — სენაკის რაიონი, ბიხა ცხაკაიას სადგური — სენაკის სადგური (საქინფორმი).

პენსია დაღუპულთა შვილებს

● „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ რუსთავში მეხუთე წელია წარმატებით საქმიანობს კოოპერატივი „წიდა“, რომელმაც თავის თავზე აიღო მეტალურგიული ქარხნის ბრძმედისა და მარტენის საამქროს მიერ 40 წლის მანძილზე დაგროვილი წიდის გადამუშავება. თანდათან სუფთავდება ნაყარი ნარჩენებისგან 400 ჰექტარზე განადგურებული ტყის ზოლი მტკვრის სანაპიროზე, გადამუშავების შედეგად მიღებულ დეფიციტურ სამშენებლო ინერტულ მასალაზე რომ არაფერი ვთქვათ, „წიდა“ ყოველთვიურად 500 ტონამდე ლითონის ჭართს აბარებს უკან იმავე ქარხანას...

ყოველივე ამის გახსენება იმად დაგვჭირდა, რომ „წიდამ“ კეთილშობილი საქმე ივალდებულა: ყოველთვიურად 100-100 მანეთი პენსია დაუნიშნოს 9 აპრილს ხოცვა-ყლეტის დროს და კომენდანტის საათის პირობებში დაღუპული მოკალაქეების მეცირეწლოვან შვილებს, სანამ თექვსმეტი წლის ასაკს მიაღწევენ.

„წიდას“ შეგიძლიათ მიმართოთ ტელეფონით — 22-78-48, ან რუსთავის მუნიციპალთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საშუალებით.

უკსოფელი

საკავშირო ყოველკვირეული
12 მაისი, ოთხშაბათი

◆ ჩინეთი

დენ სიაოპინის განცხადება

პეკინი. „რამდენიმე დღის შემდეგ შეეხვედები ხკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს, და ჩვენ შევეცდებით მოვაწესრიგოთ დავა, რომელიც ჩვენს შორის ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე წარმოიშვა, ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა“, — განაცხადა დენ სიაოპინმა აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფ სეიედ ალი ჰამენეისთან შეხვედრის დროს.

ჩინეთის ხელმძღვანელმა თქვა, რომ ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა მშვიდობისა და თანხმობის პირობებში უნდა იცხოვრონ, როგორც სინჰეკის საგენტო იუწყება, დენ სიაოპინმა აღნიშნა, რომ ჩინეთი ესწრაფვის შექმნას სტაბილური სიტუაცია მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით. „ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის, რასაც ამჟამად ჩვენ ვეწევით“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

● აშშ

პრეზიდენტი უჩვენებს „სამხედრო კუნთებს“

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა ბუშმა ხუთშაბათს გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა პანამაში გაგზავნოს შეერთებული შტატების ჯარების დამატებითი კონტინგენტი პანამის არხის ზონაში ვაშინგტონის სამხედრო ყოფნის გასაძლიერებლად. იქ განლაგებული 10 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის დამატებით იგზავნება შეერთებული შტატებიდან კიდევ, ერთი ბრიგადა 2-3 ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით.

ბუშმა ეს ახსნა ქვეყანაში ამერიკელ მოქალაქეთა „უსაფრთხოების დაცვის“ საჭიროებით განსაკუთრებით დაძაბულობის

მთავარია დისციპლინა

მძღოლები გაცხოველებით განიხილავენ გაფრთხილების ტალონების ნომაგალ გაუქმებას. მაგრამ პროფესიონალებიც კი ნაკლებად არიან ინფორმირებული სხვა სიახლის თაობაზე — სსრ კავშირის უმაღლესი სბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაზე იმ საკონფლიქტო ფაქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომლებიც გახსნიდნენ პასუხისმგებლობას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის. ამავე დროს, ეს ორივე მოვლენა უთუოდ უნდა განვიხილოთ ერთიანი კონტექსტით.

— ტალონების გაუქმების გამო უდისციპლინო მძღოლთა სიხარული ნაადრევია, — ფიქრობს **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი გიორგი ცინცაძე.** — დიახ, წინათ ტალონის სამჯერ გახვრეტის შემთხვევაში მძღოლი ავტომატურად კარგავდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას. ახლა ეს აღარ იქნება, "მაგრამ ზემოხსენებული ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ არსებითად გაიზრდება სანქციები წესების დარღვევისათვის, თანაც, მათ შეიძლება დაეკისროთ საკმაო ჯარიმა და გამორიცხული არ არის, რომ ეს შეიძლება მოხდეს დღეში რამდენჯერმე. როცა გაერკვევიან საქმის ხამდვილ ვითარებაში, ვფიქრობ, ხალისი დაეკარგებათ მოჯირითეებს, რომლებიც ნაადრევად მიეცენენ სიხარულს დაუსჯელობის მოჩვენებითი პერსპექტივის გამო.

— გასაგებია, რომ სანქციების გადიდება თვითმიზანი არ არის. რით გამოიხატება შემოსაღებ ცვლილებათა და დამატებათა უფრმდებელი იდეა?

— ბრძანებულებამ უნდა მოაწესრიგოს კანონმდებლობა მძღოლების, ქვეითად მოსიარულეების, აგრეთვე სატრანსპორტო და საგზაო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ. უფრო ზუსტი გახდა სასჯელთა ნუსხა, ნაკლები სხვაობა დარჩა ჯარიმების ოდენობაში. გარდა ამისა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდა ავტოინსპექტორების უფლებები დარღვევთა მიმართ ადმინისტრაციული ზომების მიღებისას.

— დავიწყოთ მძღოლებით, უწინარეს ყოვლისა, ნასვამი მძღოლებით...

— აქ გთავაზობენ ერთიორად გაიზარდოს ჯარიმა — 200 მანეთი ან მართვის უფლების ჩამორთმევა წლიდან სამ წლამდე. იგივე სანქციები ვრცელდება მძღოლების კიდევ ორ კატეგორიაზე: ვინც „გადასცემს სატრანსპორტო საშუალებებს ნასვამ პირებს, და იმათზე, ვინც თავს არიდებს შემოწმებას სიფხიზლეზე. მაგრამ აღვნიშნავ, რომ ჩვენთან ნასვამ მძღოლებს არ უნდა ჰქონდეთ ალტერნატივის იმედი. მათ ერთადერთ ჩამორთმევათ მართვის უფლება — ძალზე დიდ საშიშროებას წარმოადგენენ ისინი ირგვლივმყოფთათვის. მით უმეტეს, რომ მათი რიცხვი ჩვენში არ კლებულობს.

ჩვენ, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მცხოვრები, დიდად შეგვაძრწუნა თბილისში მომხდარმა აპრილის ტრაგედიამ, აგრეთვე აქარისათვის თავს დატეხილმა უბედურებამ. მაგრამ ესოდენ დიდი ელვის დროსაც „ი გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ხელი არ აუღიათ ლოთობაზე, და მთვრალები მართავდნენ საქეს. ამის გამო მარტო თბილისში 9 აპრილიდან დღემდე უკვე დაკავებულია 200-მდე ნასვამი მძღოლი.

— ბრძანებულება სპეციალურად აკისრებს მოტოციკლეტებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს პასუხისმგებლობას დასახლებულ პუნქტებში არაორგანიზებულ ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ალბათ, ეს მუხლი მიმართულია როკერების წინააღმდეგ. მწვავე არის თუ არა ეს პრობლემა ჩვენი რესპუბლიკისათვის?

— არა, მაგრამ ძალზე გვაშფოთებს რიტუალური კორტეჟების უსისტემო ჯგუფური მოძრაობა. ხშირად ასეთ დროს ფერხდება საგზაო მოძრაობა და ემუქრება მის უსაფრთხოებას. ავტოტრანსპორტის მფლობელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ არაორგანიზებულ ჯგუფურ მოძრაობაში, გამოაცალეს სახვიტინსპექტია და გადაახდეინებს ჯარიმა 50 მანეთის ოდენობით ან ჩამოართმევს მძღოლის უფლებას სამ თვემდე ვადით.

— თუ შეიძლება, განმარტეთ, რა იგულისხმება ავტოინსპექტორთა უფლებების კონკრეტიზაციით?

— შეგახსენებთ, რომ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისას სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები ადგენენ ოქმს. ეს ქვლავ მათი მოვალეობა იქნება. მაგრამ თუ მოქალაქე სადაგოს არ ხდის დაშვებულ დარღვევას და მას სასჯელი ეკისრება ოფიციალური გაფრთხილების ან 10 მანეთამდე ჯარიმის სახით, მაშინ ოქმი არ დგება, ჯარიმას „კი ახდევინებენ დარღვევის ადგილზე. ამ შემთხვევაში ინსპექტორი განცალკევდა დადგენილი ნიმუშის ქვითარს, რომელიც არის მკაცრი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

მძღოლმა უნდა იცოდეს, რომ მოძრაობის წესების დარღვევის აღკვეთის, ოქმის შედგენის, საქმის ოპერატიული და კანონიერი განხილვის უზრუნველყოფისა და მის გამო მიღებული დადგენილების შესრულებისათვის მილიციის მუშაკს უფლება აქვს დააკავოს დამრღვევი, მაგრამ არაუმეტეს სამი საათისა.

— რა სახის დანაშაულისათვის ეძლევათ მძღოლებს გაფრთხილება ან ეკისრებათ ჯარიმა 10 მანეთამდე?

— ასეთ დარღვევათა შორის არის მძღოლის ბიერ სიჩქარის გადაჭარბება, შუქნიშნის წითელ სიგნალზე ან მარეგულირებელის ამკრძალავ ჟესტზე გავლა, აკრძალვის, მითითებისა და პროიორიტეტული საგზაო ნიშნებისა და საგალი ნაწილის მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა. ანალოგიური სანქციები გათვალისწინებულია მგზავრთა გადაყვანის, გასწორების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა გაჩერებების გაგლის, სიბნელეში სანათი ხელსაწყოებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის.

როცა ზემოთ ჩამოთვლილ დარღვევებს შეიძლება მოჰყვეს ავარიული ვითარების შექმნა (ანუ აიძულებენ სხვა მძღოლებს მკვეთრად შეცვალონ სიჩქარე, მოძრაობის მიმართულება ან მიიღონ უსაფრთხოების სხვა ზომები), სანქციები ძლიერდება — ჯარიმა 20 მანეთიდან 50 მანეთამდე ან უფლების ჩამორთმევა დაახლოებით სამი თვის ვადით. ასეთი ფაქტების განხილვა შედის სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანაყოფების უფროსების ან შინაგან საქმეთა რეგიონალური ორგანოების ხელმძღვანელობის კომპეტენციაში. სხვათა შორის, სწორედ ასეთივე სანქციები შეიძლება მოჰყვეს მძღოლების უარს დაემორჩილონ მილიციის მუშაკის მოთხოვნას მანქანის გაჩერების შესახებ.

— მოახდენს თუ არა ეს გავლენას სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორების მიერ იმ მძღოლთა გამოდევნების პრაქტიკაზე, რომლებმაც უმნიშვნელო დარღვევა მოახდინეს?

— რა თქმა უნდა, რადგან ახლა საჭირო აღარ იქნება მათი გამოდევნება. საკმარისია ავტოინსპექტორმა დააფიქსიროს ავტომობილის ნომერი, და ამის შედეგად მძღოლი, რომელიც მიიმალება, უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ მაშინვთვე გააჩერებს მანქანას.

— და მაინც, მოდით, ამოვწეროთ წვრილმან ჯარიმათა თემა...

— აქ ცოტა რამ უნდა დავუმატო. კერძოდ, თუ მძღოლი მართავს ნებისმიერ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც გაუმართავი აქვს მუხრუჭისა და საჭის სისტემა, ან თვითნებურად გადააკეთებს მანქანას, სათანადოდ დადგენილი წესით რეგისტრაციის ან სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერების გაგლის გარეშე იყენებს მას, მძღოლს აფრთხილებენ ან აჯარიმებენ ხუთი მანეთით. ამდენივე „ჯდება" მოტომუშაოადებისა და უსაფრთხოების ღვედების უგულებელყოფა.

— ახალი ბრძანებულების თანახმად, სახელმწიფო ავტოინსპექციას აქვს რკინიგზის გადასასვლელების გაგლის წესების დარღვევთა დასჯის ღონისძიებათა არჩევანი. ძალზე ცოტა ხომ არ არის მხოლოდ 30 მანეთით დაგაჯარიმოთ ისინი, ვინც საფრთხეში აგდებს მრავალი ადამიანის სიცოცხლეს?

— იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკაში არ მცირდება ავარიების რაოდენობა რკინიგზისა გადასასვლელებზე, გადაწყვეტეს აქაც ხელი აიღონ ალტერნატივაზე, დარღვევის პირველ შემთხვევაშივე ჩამორთმევა მძღოლის უფლება ექვს თვემდე ვადით.

— ჯერჯერობით ჩვენ ვსაუბრობდით უშუალოდ მოძრაობის წესების დარღვევაზე. ზოგჯერ კი ყოველივე ამას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული მატერიალური შედეგები. როგორია ბრალეულთა პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში?

— თუ წესების დარღვევამ გამოიწვია სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის, გზის, საგზაო ნაგებობებისა და სხვა ქონების დაზიანება, ბრალეული გადაიხდის 30 მანეთ ჯარიმას ან მას ჩამოერთმევა მძღოლის უფლება საამიდან ექვს თვემდე ვადით. ასეთივე სასჯელი ელის იმ მძღოლებსაც, რომლებიც მიიმალებიან საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ადგილიდან.

და კიდევ: გზების, რკინიგზის გადასასვლელების, სხვა საგზაო ნაგებობებისა და მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა დაზიანება, ისე როგორც გზებზე დაბრკოლებათა განზრახ შექმნა, გზის საფარის გაჭუჭყიანების ჩათვლით, ისჯება 20 მანეთიდან 50 მანეთამდე ჯარიმით. რაც შეეხება მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, ამ საკითხს გადაწყვეტს სახალხო სასამართლო სამოქალაქო სარჩელის მიღებისას.

— რა პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო უფროსობას?

— ხაზზე ტექნიკური ხარვეზებიანი სატრანსპორტო საშუალებათა გამოშვებისათვის, როცა მათი ექსპლუატაცია აკრძალულია, თვითნებურად გადაკეთებული, დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაუტარებელი ან ისეთი სატრანსპორტო საშუალებების გამოშვებისათვის, რომლებსაც არ გაუვლიათ ტექნიკური დათვალიერება, თანამდებობის პირებს ეკისრებათ ჯარიმა 10 მანეთიდან 50 მანეთამდე. მთვრალი ან მართვის უფლებების არმქონე მძღოლთა სამუშაოზე დაშვებისათვის შემოღებულია ჯარიმა 30 მანეთიდან 100 მანეთამდე.

მკაცრად ისჯება მოძრაობისათვის უსაფრთხო მდგომარეობაში გზებისა და საგზაო ნაგებობების შენახვის წესების დარღვევაც. ბრალეულნი ასევე გადაიხდიან 30 მანეთიდან 100 მანეთამდე ჯარიმას.

— და ბოლოს, ქვეითად მოსიარულეთა შესახებ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირადად მე არ ვიცი, თუ რამდენი „ღირს" ქუჩაზე გადასვლა იმ ადგილას, სადაც ეს არ შეიძლება და ა. შ.

— ბრძანებულება ამასაც ითვალისწინებს: ასეთ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ხუთი მანეთია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ქვეითად მოსიარულე შექმნის ავარიულ სიტუაციას, თანხა იზრდება 10 მანეთიდან 30 მანეთამდე.

ასეთია მიღებული ცვლილებები და დამატებები. რაც შეეხება იმ დარღვევებს, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ ცვლილებებითა და დამატებებით, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა რჩება იგივე, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი სბჭოს 1983 წლის 15 მარტის ბრძანებულებით.

— როდის შედის ძალაში ცვლილებები და დამატებები?

— მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან. მაგრამ უკვე დღეს უნდა დავიწყოთ მათი შესწავლა და გაანხრება. ყველას უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ სწორედ მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთა დისციპლინა — ქუჩებსა და ავტოტრასებზე მოძრაობის უსაფრთხოების და მაშასადამე, ჩვენი უსაფრთხოების მთავარი გარანტიაა.

საუბარს უძღვებოდა

ვლადიმერ იარალოვი,

საქინფორმის კორ.

ხსოვნის კონცერტები

13 მაისს კამერულ-სიმფონიური მუსიკის ახალი დარბაზი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მსმენელს ეპატიჟება შეხვედრაზე, რომელსაც სადღესასწაულოს ვერ უწოდებთ — დარბაზის საზეიმო გახსნა შედგება სეტქემბერში. პირველი მელოდიები, რომლებიც ამჯერად აჟღერდება დარბაზას თაღებქვეშ, ეძღვნება აპრილის ტრაგედიის უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას. ეს იქნება კონცერტი მწუხარებისა და ტკივილის, და ამასთან იმედის, სიყვარულის, ერთიანობის გამოხატულება...

ხსოვნის კონცერტები გაგრძელდება 14 და 15 მაისს. ამ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს სომხეთის სახელმწიფო აკადემიური საგუნდო კაპელა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ჰოვანეს ჩეკიჯიანის ხელმძღვანელობით. საღამოების პროგრამაშია ვერდის „რეკვიემი", რომელშიც სოპოტ მუსიკოსებთან, საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან, თბილისელ მომღერლებთან მარიცა მაღლაფერიძესთან, თამარ კრაწაშვილთან, თემურ გუგუშვილთან და გია ასათიანთან ერთად გამოვა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი მაყვალა ქასრაშვილი.

ამ მუსიკალური მიძღვნების შემდეგ 16 და 17 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება პოეზიის საღამოები „ხეზე ყარული ლექსები". წაიკითხავენ უცნობ ავტორთა უბრალო სტრიქონებს, რომლებიც დაწერილია 9 აპრილის ტრაგედიის მთიბეშდილებით და გაკრული იყო დედაქალაქის მთავარი ქუჩის ჰაერებზე.

საღამოს შემოსავალი გადაირიცხება დაღუპულთა მემორიალის მშენებლობის ფონდში.

(საქინფორმი).

გულგარეთის ორდენი — ქართველ პოეტს

„ის ლექსები, ნახევრად მაინც, სისხლნი და ხორცნი არიან ჩემნი. სამ წელიწადზე მეტხანს ვგულავდი ქართულ სიტყვას, რათა ცოტათი მაინც გამეჩერებინა სულისკვეთებანი სპვათანი" — წერს ბულგარული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობაში მუხრან მაჭავარიანი. ქართველმა პოეტმა — ამ ანთოლოგიის მთარგმნელმა და შემდგენელმა, თანამემამულეებს გააცნო ორმოცდაათი თანამედროვე ბულგარელი ლირიკოსის შემოქმედება. ქართველ პოეზიის თაყვანისმცემლებს მიეცათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ ბულგარულ პოეზიას, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით, ბუმბერაზმითა და ღრმა ფსიქოლოგიზმით. ასეთი ანთოლოგია ჩვენთან პირველად გამოიცა.

ბულგარეთის თემას თვალსაჩინო ადგილი უკავია მუხრან მაჭავარიანის — საქართველოს ერთერთი წამყვანი თანამედროვე პოეტის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის შემოქმედებაში. არაერთი შესანიშნავი ქმნილება მიუძღვნა მან ამ მოძმე ქვეყანას. ნაწარმოებებში ოგრძნობა ამ უძველესი მიწის, მისი ხალხის, მდიდარი კულტურის, ისტორიისა და თანამედროვეობის სიყვარული. ეს ლექსები გაერთიანებულია ციკლში „საზღვარგარეთული მოტივები".

ბულგარული პოეზიის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის, ბულგარეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, მუხრან მაჭავარიანი დაჯილდოდა კირილესა და მეთოდეს ორდენით.

— ეს ჯილდო კიდევ ერთი ახალი გამოვლინებაა ქართულ-ბულგარული ლიტერატურული თანამეგობრობისა, რომელიც უკვე მრავალი წელია ნაყოფიერად ვითარდება და ფართოვდება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მუხრან მაჭავარიანმა.

(საქინფორმი).

სპორტის ამბები

კარგად დაიწყეს

ჰელსინკიში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. პირველ დღეს ვაჟებმა ოთხ წონითს კატეგორიაში გამართეს შესარჩევი მეხვედრები. სტარტზე 2-2 გამარჯვება მოიპოვეს ჩილეანებისაკ�sელმა გრიგოლ ვერიჩიგმა (95 კგ-ს ზევით), გროზნოელმა ბაშირ ვარაევმა (78 კგ-მდე წონა), გორელმა კობა კურტანიძემ (95 კგ-მდე წონა) და მოსკოველმა ვიტალი ბუდიუკინმა (86 კგ-მდე წონა). კურტანიძემ დაამარცხა ავსტრიელი მანფრედ რეიტერი, შემდეგ კი სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი მარკ მაილინგი (გფრ). ოთხნიკ ეროვნულ სპორტსმენი ნახევარფინალში გავიდა.

საფეხბურთო ტალღაზე

● **პრაღაში** გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (ძმეშიდე ჯგუფი) ჩეხოსლოვაკიისა და ლუქსემბურგის ნაკრებ გუნდებს შორის. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა— 4:0. ამ ჯგუფში 6 ქულით (8 შესაძლებლიდან) ლიდერობენ ბელგიელები. მომდევნო ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიელები — 5 ქულა (8-დან), პორტუგალიელები — 5 (6-დან), შვეიცარიელები — 2 (6-დან). ლუქსემბურგელებმა 4 მატჩი გამართეს და ჯერ ერთი ქულაც ვერ მოიპოვეს.

● **შვეიცარიის** დედაქალაქ ბერნში გაიმართა თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი ესპანეთის „ბარსელონასა" და იტალიის „სამპდორიას" შორის. შეხვედრა მოიგეს ესპანელებმა ანგარიშით 2:0 და თასს დაეუფლნენ.

● **არსებითი** ცვლილებები მოხდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ფორმულაში: მომავალ სეზონში ამ ქვეყნის ჩემპიონატი აღარ იქნება დაყოფილი პირველ და მეორე წრედ. ერთი კვირის განმავლობაში გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ — შინ და სტუმრად. თითოეულ შეხვედრაში მოპოვებულ ქულებთან ერთად (მოგება — 2 ქულა, ფრე — 1) გუნდი დამატებით ქულას მიიღებს „სერიაში" საერთო მოგებისათვის. თუ ორივე მატჩის შედეგად არ გამოვლინდება გამარჯვებული, უძლიერესს გამოავლენს მატჩის შემდგომი თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია.

● **დანიაში** მიმდინარე 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან პორტუგალიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. პორტუგალიელებმა ნახევარფინალური მატჩი მოუგეს ესპანელებს — 2:1, გერმანელებმა კი ფრანგებს — 3:0. საბჭოთა ნაკრებმა შეჩერებით ტურნირში უიღბლოდ ითამაშა და ნახევარფინალში ვერ მოხვდა.

რედაქტორის მოადგილე
მ. უბრიხელიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა კრებულის რედაქტორი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, ომისა და შრომის ვეტერანი

ბიორგი მიხეილის ძე მანჯგალაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პლატონ თავხელიძე

გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1929 წლიდან **პლატონ ნოშრევანის ძე თავხელიძე.**

დაიბადა 1902 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათში. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1927-30 წლებში მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად. 1930-32 წლებში ხელმძღვანელობდა ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ადმისკომის განათლების განყოფილებას.

1938-1941 წლებში პ. თავხელიძე ჟურნალ „პარტიული მშენებლობის" რედაქტორი იყო. 1939 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას. 1941-1943 წლებში იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. 1943 წლიდან 25 წლის განმავლობაში ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პარტიის ისტორიის კათედრებს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ზოოტექნიკურ-საცეტერინარო ინსტიტუტში. 1964 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტად, ხოლო 1970 წლიდან, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ — პროფესორად.

მის კალამს ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და გამოკვლევა. მან აღზარდა ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მთელი თაობა.

პ. თავხელიძე იყო უზადო მოქალაქე, ახალგაზრდობის პატრიოტი აღმზრდელი და ერთგული მეგობარი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ორნი. მიხეილ როსტომაშვილის ფოტო.

ტელევიზია

ორშაბათი

15 მაისი

პირველი პროგრამა: 13.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ჰობოი". 14.00 — ეკონომიკის კურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მინის სიბრძნე". 16.25 — საინფორმაციო გამოშვება. 16.35 — კინოჟურნალი. 16.45 — პრემიერა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „ჩვენ მეზობლები ვართ" — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრული ურთიერთობის ისტორიის შესახებ (მ). 17.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი. 17.45 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.15 — მოსწავლეთათვის „ბრუნვა". 19.25 — განცხადებები. 19.30 — მოამბე. 20.10 — „შეხვედრები ჩინეთთან" (მ). 21.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 22.00 — ვრემია (მ). 22.50 — კინოპროგრამა „ფილმის შუქ-ჩრდილი". ქართული მხატვრული ფილმი „დიდი მწვანე ველი".

მეორე პროგრამა: 9.35 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 10.05—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოწმე", ფილმი I და II (მ.). 12.05—დოკუმენტური ფილმი „ყოფნა და აღიარება". 13.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰობოი". 14.00 — ეკონომიკის კურსი.

სამშაბათი

16 მაისი

პირველი პროგრამა: 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები". 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი". 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.55 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.10 — ხალხური შემოქმედება — „ყველა ვარდები ზედ დავაქსოვე". 18.25 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — გარდაქმნის ნახნაგები. 19.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი თანამემამულენი უცხოეთში" — ხუნდაძეები. 21.00 — სატელევიზიო კომპოზიცია „ცხოვრება და სიკვდილი დიმიტრი ყიფიანისა", I ნაწილი. 22.00 — ვრემია (მ). 22.50 — სატელევიზიო კომპოზიცია „ცხოვრება და სიკვდილი დიმიტრი ყიფიანისა" — II ნაწილი.

მეორე პროგრამა: 9.35 — ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა" — საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სპექტაკლი (მ). 12.10 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა. 12.40 — დოკუმენტური ფილმი „მორევი". 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები". 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეატრი, სურათი, ფრესკა". 14.50 — მოსწავლეთათვის — საზოგადოებათმცოდნეობა.

ოთხშაბათი

17 მაისი

პირველი პროგრამა: 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გუდასტვირი". 14.00 — მოსწავლეთათვის — „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები". 14.30 — შესვენება. 15.55 — პროგრამა. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მესხური ღვინინ". 16.20 — საინფორმაციო გამოშვება. 16.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გელა". 17.20 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.15 — განცხადებები. 18.20 — რედაქციაში წერილი მოვიდა. 18.40 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 18.55 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე — „დინამო" (თბილისი)—„სპარტაკი" (მოსკოვი), რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.45 — მოამბე. 21.20 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწის ჭრილობა" (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები) 22.00 — ვრემია (მ). 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „გზა შინისაკენ".

მეორე პროგრამა: 9.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა". 11.05 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 11.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სათვალიანი". 12.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გუდასტვირი". 14.00 — მოსწავლეთათვის — „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები".

ხუთშაბათი

18 მაისი

პირველი პროგრამა: 13.00 — მოსწავლეთათვის ბიოლოგია. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი

საქართველოს ტელევიზიის მომავალი ქვირის პროგრამა

მხატვრული ფილმები „გლადიატორი" და „მშვიდობით, ინესა". 14.00 — მასწავლებლის საათი — „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები". 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოფა, ყოფა, ყოფა". 17.00 — აბიტურიენტთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.05 — მოსწავლეთათვის „წყაროსთვალი". 18.35 — შუქნიშანი. 18.50 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „გასეირნება". 19.05 — განცხადებები. 19.10 — გარდაქმნის ნახნაგები. 19.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მესხების ოჯახი". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ლიტერატურული თეატრი — „რას გვიქვიან ერის სიბერე". 21.10 — ევროპის სტადიონებზე. 22.00 — ვრემია (მ). 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „წითელი ეშმაკუნები" (მ).

მეორე პროგრამა: 9.35 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება — ჩინეთი (მ). 10.25 — მხატვრულ-პუბლიცისტური პროგრამა „საფეხურები" (მ). 11.35 — მასხავლებლის საათი — რუსული ენა. 12.20 — კინოჟურნალი „ჰორიზონტი". 13.00 — მოსწავლეთათვის — ბიოლოგია. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „გლადიატორი" და „მშვიდობით, ინესა". 14.00 — მასწავლებლის საათი — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები.

პარასკევი

19 მაისი

პირველი პროგრამა: 13.00 — ქართული სატელევიზიო ფილმი „ძველი ქართული საგალობლები". 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 17.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.45 — დოკუმენტური ფილმი. 18.45 — კონცერტი. 19.40 — „ცვალი ნათელი" — ზაირა კიკვიძე. 20.00 — მოამბე. 20.35 — კინოპროგრამა. 21.15 — ხალხური შემოქმედება — „შენ — შაოსანო, შავთვალავ". 22.00 — ვრემია (მ). 22.40 — გარდაქმნის პროექტორი (მ). 22.50 — ლიტერატურული გადაცემა — „როდემდის"... 23.40 — მ. ფოცხიშვილი, ჯ. სეფიაშვილი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები".

მეორე პროგრამა: 9.35 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 11.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ღამის ილუზია". 12.20 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 12.50 — კინოჟურნალი. 13.00 — ქართული სატელევიზიო ფილმი „ძველი ქართული საგალობლები". 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი.

შაბათი

20 მაისი

პირველი პროგრამა: 9.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კლდეში ნაშენი სამყარო". 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ხალხური შემოქმედება. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ლაბტის გაკვეთილი". 12.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.15 — მოსწავლეთათვის — კლასიკური მუსიკის კონცერტი. 12.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.00 — კინომოზაიკა. 13.40 — „ჯანმრთელობა" — „03